სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/35

ქ. თბილისი 14 ივნისი 2024

სტუ-ის საკუთრებაში არსებული ფართის სსიპ ანტიკორუფციული ბიუროსათვის სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 29 მაისის №0000594126 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 14 ივნისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, სსიპ ანტიკორუფციულ ბიუროს სარგებლობის უფლებით, არსებობის ვადით, გადასცეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქ. თბილისში, კოსტავას ქ. №71-ში მდებარე სტუ-ის მე-7 სასწავლო კორპუსის მე-3 სართულზე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული 556.17 კვ.მ (ს/კ: 01.10.13.040.003.01.01.526), ფართი, რომელიც გადაცემული იყო საქართველოს დაზვერვის სამსახურისთვის უვადო უზუფრუქტის ფორმით და სანაცვლოდ გადმოცემულია ქ. თბილისის პოლიტკოვსკაიას ქუჩა №6, მე-2 სართულზე მდებარე უძრავი ქონების 482.00 კვ.მ. (ს/კ 01.14.05.008.002.01.509) ფართი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**